

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ანასეულის დასახლების ტერიტორიაზე
მოცვის ბაღის მორწყვის მიზნით სარწყავი
სისტემის მოწყობა და ექსპლუატაცია

სკრინინგის ანგარიში

შემსრულებელი: გიორგი ნიშნაძე

ოზურგეთი _ ანასეული

1. საქმიანობის აღწერა.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება - „აგრობარს“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ანასეულის დასახლების ტერიტორიაზე გაშენებული აქვს ლურჯი მოცვის ბაღი - 30 000 (ოცდაათი ათასი) ძირის ოდენობით (ლუგასი, ბლუგოლდი, სტარი).

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, რომელზეც გაშენებულია ზემოთ აღნიშნული რაოდენობის მოცვის რაოდენობა, საკადასტრო კოდია - 26.26.50, ხოლო ფართობი შეადგენს 99 145 კვ/მ.

მოცვის პლანტაციის მორწყვის მიზნით, წყალაღება ხორციელდება მდინარე ორაფოდან, რომელიც ჩამოედინება ზემოთ აღნიშნული მიწის ნაკვეთის მიმდებარე ტერიტორიაზე.

ზემოთ აღნიშნული მდინარე შპს „აგრობარს“ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთიდან 10 გრ/მ მანძილზე ჩამოედინება. (იხ. სიტუაციური ნახაზი).

წყალაღება მდინარე ორაფოდან ხდება ელექტრო ტუმბის გამოყენებით. ელტუმბოს ტექნიკური მახასიათებელია:

- წარმადობა 20 ტ/სთ;
- წნევა - 8 ბარი;
- ელმოხმარება - 4 კვტ/სთ.

მდ. ორაფოდან წყალაღების GPS კოორდინატებია (ცხრილი #1)

N	X	Y
1	248324,45	4643800,52

მდინარე ორაფოდან წყალაღების წერტილებიდან აღებული წყალი საფილტრაციო-გამანაწილებელი სადგურიდან მილის მეშვეობით (მილის დიამეტრი - 65 მმ.) მიეწოდება წყლის შესანახ რეზერვუარს, საიდანაც წყალი მცენარეების მორწყვის მიზნით, რიგრიგობით მიეწოდება 5 ნაკვეთად დაყოფილ მოცვის პლანტაციას (სურათი #1).

წყლის მიწოდება მოცვის პლანტაციისათვის ხორციელდება ელექტრო ტუმბის მეშვეობით. მისი ტექნიკური მახასიათებლებია (სურათი #2).



- წარმადობა 21 ტ/სთ;
- წნევა - 5,5 ბარი;
- ელმოხმარება - 4,0 კვტ/სთ.

წყლის რეზერვუარი (აუზი) არის ღია ტიპის. რეზერვუარში ჩაფენილია მაღალი ხარისხის გერმანული წარმოების გეომემბრანა. რეზერვუარის განთავსების GPS კოორდინატები და ტექნიკური მახასიათებლებია (სურათი #3).

- X - 248073,01
- Y - 4643576,64

- რეზერვუარის სიგრძე - 21,9 - 21,6;
- რეზერვუარის სიგანე - 11,9 - 12,1;
- რეზერვუარის სიღრმე - 3,5.

სოციალური ნახაზი ქ.ოზურგეთი, ანასუფლი



4643800

4643700

4643600

საგარეო საზღვარი
საშუალო სიღრმე

248400
Активация Window
Чтобы активировать Win

248300

248200

248100

248000

248400

248300

248200

248100

248000

4643800

4643700

4643600

ოზურგეთი
X: 248324.45
Y: 4643800.52

426.9

კვანაძის ქუჩა
ოზურგეთი

ოზურგეთი
X: 248073.01
Y: 4643576.64

21.9
11.9
21.6



სურ. N1 მდინარე ორაგოდან ალებული წყლის საფილტრაციო
გამანაწილებელი სადგური



სურ. N2 პლანტაციაზე წყლის სადგური (ტუმბო, ფილტრი)



სურ. N3 წყლის ღია ტიპის რეზერვუარი

მანძილი წყალაღების წერტილიდან წყლის გამანაწილებელი ელექტრო ტუმბომდე და წყლის რეზერვუარამდე შეადგენს 427 გრ/მ-ს. შპს „აგრობარის“ მიერ მოხმარებული წყლის რაოდენობა ერთი წლის განმავლობაში საშუალოდ განისაზღვრება 5020 ტონით. მოხმარებული წყლის რაოდენობა თვეების მიხედვით შეადგენს:

ცხრილი #2

სულ	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
5020	20	20	30	50	540	1080	1080	1080	540	540	20	20

შენიშვნა: წლის განმავლობაში გვალვიანი და უხვნალექიანი დღეების რაოდენობის გათვალისწინებით მორწყვის მიზნით მოხმარებული წყლის რაოდენობა შეიძლება გაიზარდოს ან შემცირდეს 12-15 პროცენტის ოდენობით.

მდინარე ორაფოდან წყალაღების უახლოესი დასახლებული უბნიდან დაშორებულია 195 გრ/მ-თ, ხოლო წყლის გამანაწილებელი რეზერვუარუიდან 115 გრ/მ-ით. წყლის ასაღებად და წყლის მისაწოდებად გამოყენებული ელექტრო ტუმბოები იტალიური წარმოებისაა და მუშაობის პროცესში მათ მიერ გამოწვეული ხმაური უმნიშვნელოა და არ ვრცელდება 30 გრ/მ მანძილზე მეტად. შესაბამისად, ტუმბოების ხმაურით გამოწვეული ზემოქმედება მოსახლეობაზე, არ ფიქსირდება.

სარწყავი სისტემისთვის განკუთვნილი მილები, მათ შორის მაგისტრალური მილი მთლიანად მოწყობილია პლანტაციის ტერიტორიაზე და შესაბამისად არ გადის სსიპ დაცული ტერიტორიების დეპარტამენტის მართვის დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე. აღნიშნული მილი (მილები) ასევე არ კვეთს ტყის ფონდის მიწებს.

ქვემოთ მოცემულია ცნობები საქმიანობის განმახორციელებელი პირის შესახებ

ცხრილი #3

საქმიანობის განმახორციელებელი	დირექტორი გიორგი ნიშნიანიძე
იურიდიული მისამართი	ქალაქი ბათუმი, თამარ მეფის ჩიხი #4-6
საქმიანობის სახე	სარწყავი (სამელიორაციო) სისტემის მოწყობა და ექსპლუატაცია
საქმიანობის განხორციელების ადგილმდებარეობა	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, ანასეული
სკრინინგის ანგარიშის მომამზადებელი პირი	გიორგი ნიშნიანიძე პირადი # 61001032204
საკონტაქტო ინფორმაცია, გიორგი ნიშნიანიძე	Giorgi.nishno@gmail.com ტელ: 595 124 747

2. სარწყავი სისტემის მოწყობით გამოწვეული ზემოქმედება გარემოზე

სარწყავი სისტემის მოწყობის პროცესში მიწისქვეშა გრუნტის წყლებზე ზემოქმედება არ განხორციელებულა, ვინაიდან სამუშაოების პროცესში არ იყო გათვალისწინებული სპეც. ტექნიკის გამოყენება, რასაც შესაძლებელი იყო გამოეწვია ნიადაგის დაბინძურება საწვავით და ასევე საზეთ საპოხი მასალებით.

პროექტი არ ითვალისწინებდა ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნას, ვინაიდან წვეთოვანი სარწყავი მიწები სრულად განთავსებულია ბაზოკვლევებზე გადაფარებულ „მულჩებში“. (სურათი # 4).

წყლის შემნახველი აუზის (რეზერვუარი) მოწყობის დროს ამოღებული მიწის ნაყოფიერი ფენა გამოყენებული იქნა ბაზოკვალეების ფორმირებისათვის, ხოლო მცირე ნაწილი, ნაკლებ ნაყოფიერი ფენა, გამოყენებული იქნა ნაკვეთის დამუშავების პროცესში წარმოშობილი ორმოების ამოსავსებად და შიდა საპლანტაციო გზების მოსაწყობად.


სამშენებლო სამუშაოები ნაკვეთზე არ განხორციელებულა. მოეწყო მხოლოდ მარტივი კონსტრუქციის მოსასვენებელი ოთახი და მორწყვის სისტემის აპარატურის მართვისათვის საჭირო ღია ტიპის ფარდული (სურათი #5).

პროექტის განხორციელება მცენარეულ საფარზე ზემოქმედებას არ ახდენს. საქმე იმაშია, რომ პროექტის განხორციელების პროცესში მძიმე ტექნიკის გამოყენება საჭირო არ იყო (მისი გამოყენება არც მომავალში იგეგმება), რაც წარმოადგენს ხმაურის წარმოქმნის ძირითად წყაროს. შესაბამისად, ცხოველთა სამყაროზე ზემოქმედება ეხლაც და მომავალშიც გამორიცხებულია.

სარწყავი სისტემის მთელ პერიმეტრზე და არც პლანტაციის ტერიტორიაზე არ ფიქსირდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი. პროექტის განხორციელებას არ გამოუწვევია დამატებითი მისასვლელი გზების მშენებლობა. სარწყავი სისტემის მოწყობის პროცესში გამოყენებული იქნა მხოლოდ ნაკვეთმორისი გრუნტის შიდა გზა.

3. პროექტის განსახორციელებლად გამოყენებული მატერიალური რესურსები.

წვეთოვანი სარწყავის სისტემის მოწყობის პროცესში გამოყენებულია 427 მეტრი სიგრძის 65 მმ დიამეტრის მქონე პოლიეთილენის მაგისტრალური მილი, ასევე 1600 მეტრი სიგრძის და 40 მმ დიამეტრის ქვემაგისტრალური მილები, 2 ცალი ტუმბო და 90 000 გრ/მ 16 მმ დიამეტრის მქონე მილები მიწის ნაკვეთზე წვეთოვანი სისტემის მოსაწყობად.



სურ. N4 წვეთოვანი მორწყვის მილის ე.წ. „მურჩის“ ქვეშ განლაგების სქემა



სურ. N5 მარტივი ტიპის მოსასვენებელი ოთახი

4. სარწყავი სისტემის მოწყობის და ექსპლუატაციის პროცესში გამოსაყენებელი რესურსები

სარწყავი სისტემის ფუნქციონირებისათვის, კერძოდ კი მდინარიდან ტუმბოს მეშვეობით წყლის მისაღებად და ნაკვეთებში გასანაწილებლად საჭირო ელექტროენერჯის, მოწოდება ხორციელდება ადგილობრივი ენერგომომარაგების ქსელიდან. მოცვის პლანტაციის მაქსიმალურად დატვირთვის პირობებში ელ. ენერჯის წლიური მოხმარება 7500-8000 კვტ/სთ მიაღწევს.

მორწყვისთვის მომხმარებელი წყლის რაოდენობა შეადგენს 5020 მ³-ს.

5. წყლის გამოყენება და ჩამდინარე წყლები, ნარჩენების წარმოქმნა, ზემოქმედება ნიადაგის ნაყოფიერებაზე

ლურჯი მოცვის ბაღი წელიწადში მოიხმარს 5020 მ³ წყალს, რომლის აღებაც მოხდება უშუალოდ მდინარე ორაფოდან. ვინაიდან წყალი გამოიყენება მოცვის ბაღის მოსარწყავად, წყალჩაშვებას ადგილი არა აქვს. სარწყავი სისტემის მოწყობისა და ექსპლუატაციის დროს სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების წარმოქმნას ადგილი არ ჰქონია და არც მომავალში არის მოსალოდნელი.

6. ავარიული შემთხვევების ალბათობა სარწყავი სისტემის მოწყობის და ექსპლუატაციის პროცესში

წყლის სარწყავი სისტემის მოწყობის პროცესში ავარიული სიტუაციების წარმოქმნის ალბათობა მინიმუმამდეა დაყვანილი, ვინაიდან ექსპლუატაციის პროცესში საჭირო არ არის მძიმე ტექნიკის გამოყენება, რამაც შესაძლებელია შექმნას ავარიული სიტუაციების ალბათობა. მორწყვის სისტემა მოწყობილია შესაბამისი ხარისხის, სტანდარტული მატერიალური რესურსების გამოყენებით, ხოლო მისი მონტაჟი განხორციელდა აღნიშნული სისტემის მოწყობის პარამეტრების დაცვით. იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული მიწების შემთხვევითი გასკდომის დროს წყლის ავარიული დაღვრა და მიმდებარე ტერიტორიების დატბორვის თავიდან აცილება, წყალაღების წერტილში, ტუმბოსთან სპეციალური ჩამკეტი ვენტილია დაყენებული. ჩამკეტი ვენტილებია ჩაყენებულია აგრეთვე მოცვის პლანტაციის 5 სექტორად დაყოფილ ნაკვეთებში.

7. საპროექტო რაიონის გარემოს ფონური მდგომარეობა

7.1 კლიმატურ-მეტეოროლოგიური პირობები

სამშენებლო კლიმატური და რაიონების მიხედვით საპროექტო რაიონი - ოზურგეთი განეკუთვნება III კლიმატურ და III ბ კლიმატურ ქვერაიონს

ცხრილი #2 - სამშენებლო-კლიმატური რაიონების მახასიათებლები

პუნქტის დასახელება	კლიმატური რაიონები	კლიმატური ქვერაიონები	იანვრის საშუალო ტემპერატურა, °C	ზამთრის სამი თვის ქარის საშუალო სიჩქარე, მ/წ	ივლისის საშუალო ტემპერატურა, °C	ივლისის ფარდობითი ტენიანობა, %
ოზურგეთი	III	III ბ	+2-დან +6-მდე	1,8	+22-დან +28-მდე	-50 და მეტი 13ს

ცხრილი #3 - ჰაერის ტემპერატურა

#	პუნქტების დასახელებ	გარე ჰაერის ტემპერატურა, °C												პერიოდი <8°C საშუალო თვიური ტემპერატურით	საშუალო ტემპერატურა 13 საათზე									
		თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	იანვარი											
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25
1	ოზურგეთი	4,8	5,4	8,0	12,0	16,6	20,0	22,3	22,6	19,4	15,4	10,4	6,9	13,6	-19	41	27,0	-4	-6	4,0	106	5,3	8,0	25,7

ცხრილი #4 – ჰაერის ტემპერატურის ამბლიტუდა

#	თვის საშუალო °C											თვის მაქსიმალური °C												
	იანვარი	თებრვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	იანვარი	თებრვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
1	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26
2	8,0	8,5	9,7	11,0	11,8	8,0	9,5	10,0	10,7	10,6	9,4	7,8	10,9	18,0	19,4	22,3	23,6	21,0	19,5	20,5	21,4	21,2	19,0	19,5

ცხრილი #5 – ჰაერის ფარდობის ტენიანობა

#	გარე ჰაერის ფარდობითი ტენიანობა, %													საშ. ფარდ. ტენიანობა 13 საათზე		ფარდ. ტენიანობის საშ. დღელაშური ამბლიტუდა	
	იანვარი	თებრვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	წლის საშუალო	ფარდ. ტენიანობა 13 საათზე	ფარდ. ტენიანობის საშ. დღელაშური ამბლიტუდა		
1	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19
2	72	74	74	74	73	77	81	82	82	78	74	70	76	66	72	11	17

ცხრილი #6 – ჰაერის ფარდობის ტენიანობა

#	პუნქტების დასახელება	ნალექების რაოდენობა წელიწადში, მმ	ნალექების დღელაშური მაქსიმუმი, მმ
1	ოზურგეთი	2168	216

ცხრილი #7 – თოვლის საფარი

#	პუნქტების დასახელება	თოვლის საფარის წონა, კგ	თოვლის საფარის დღეთა რიცხვი	თოვლის საფარის წყალშემცველობა, მმ
1	ოზურგეთი	0,50	22	-

ცხრილი #8 – თოვლის საფარი

#	პუნქტების დასახელება	ქარის უდიდესი სიჩქარე შესაძლებელია 1,5,10,15,20 წელიწადში ერთხელ, მ/წმ	ქარის მიმართულების განმეორებადობა (%) იანვარი, ივლისი										ქარის სამუალო, უდიდესი და უმცირესი სიჩქარე, მ/წმ			ქარის მიმართულებისა და შტილის განმეორებადობა (%) წელიწადში											
			1	5	10	15	20	ჩ	ჩა	ა	სა	ს	სდ	დ	ჩდ	იანვარი	ივლისი	ჩ	ჩა	ა	სა	ს	სდ	დ	ჩდ	შტილი	
1	ოზურგეთი	20	22	23	23	24	3,3	17,3	32,8	5,2	5,3	28,51	9,27	1,3	2,6	0,6	1,9	0,4	4	11	22	3	2	36	18	4	-
2																											

ცხრილი #9 – გრუნტების სეზონური გაყინვის ნორმატიული სიღრმე, სმ

#	პუნქტების დასახელება	თიხვანი და თიხნარი	წვრილი და მტრისებრი ქვიშის ქვიშნარი	მსხვილი და საშ. სიმსხვილის ხრეშისებური ქვიშის	მსხვილნატიხვი
1	ოზურგეთი	0	0	0	0

7.2 მდინარე ორაფოს ჰიდროლოგია

მდინარე ორაფო სათავეს იღებს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ანასეულის დასახლების მიმდებარედ, ზღვის დონიდან 119 მეტრზე. იგი მდინარე ნატანების შენაკადია. მდინარის სიგრძეა 12,46 კმ, ვარდნა 88 მეტრი, საშუალო დახრა 0,7%. წყალსაცავი აუზის ფართობია 13,18 კვ. კმ, საშუალო სიმაღლე 75 მეტრი.

ძირითადი შენაკადებია მდინარე ლეჩუმა და მდინარე ნაკვეთა, დანარჩენი შენაკადები უმნიშვნელოა და მათი სიგრძე ცალ ცალკე არ აღემატება 1 კმ-ს. შენაკადების საერთო სიგრძე მთლიანობაში შეადგენს 36 კილომეტრს. მდინარე ორაფოს ქსელის სიმკვრივეა 2,73 კმ/კვ. კმ.

მდინარე ორაფოს გააჩნია ასიმეტრიული ფორმა, აუზის საშუალო სიგრძეა 4,3 კმ, ხოლო სიგანე 1,5 კმ. აუზის ზედა ნაწილი განლაგებულია ანასეულის დასახლების მიმდებარედ, მდინარე აჭისა და ბჟუჟისწყლის წყალგამყოფთან, ხოლო ქვედა ნაწილი შესართავამდე განლაგებულია მდინარე ნატანებისა და შარისწყალის აუზებს შორის, დაბა ლაითურის ტერიტორიაზე.

მდინარე ორაფოს აუზის სტრუქტურაში გვხვდება პლიოცენის პონტური სართულის ზღვიური და კონტინენტური მოლასური თიხები, ქვიშაქვები, თიხიანი ქვიშაქვები და კონგლომერატები. ხოლო შესართავთან 1-5 მეტრი სიმძლავრის მეოთხეული ასაკის ალივიურ-პროლოვიური გენეზისის კაჭარ-კენჭოვან და ქვიშოვან შემავსებელზე აგებული გრუნტები.

ტარასები განთავსებულია მდინარის თითქმის მთელ გაყოლებაზე და შესართავთან შეადგენს მაქსიმალურ მნიშვნელობას, სადაც მისი სიგანე არ აღემატება 50 მეტრს. ტერასის ზედაპირი შუაწელში წარმოდგენილია თიხნარებით, 1-3 % დახრით.

მდინარე ორაფო სათავეზე მოედინება არაუმეტეს 1მ სიგანით, ხოლო შემდგომში, შესართავთან აღწევს 3 მეტრს, დაბა ლაითურის ტერიტორიაზე მდინარის შუა წელში მისი სიგანე არ აღემატება 2 მეტრს. მდინარის სიღრმე მერყეობს 0,2-0,5 მ (მცირეწყლოვანი უბნები) დან 0,7 – 1 მეტრამდე. დინების სიჩქარე სიგრძეში თანაბრად ნაწილდება და მერყეობს 0,1 დან 1მ/წმ.

წყალდიდობა მდინარისთვის დამახასიათებელია წლის ყველა პერიოდში, განსაკუთრებით აღსანიშნავია შემოდგომის წყალდიდობები, რომელიც ნალექის სეზონურ ზრდას უკავშირდება. როგორც წესი წყალდიდობისას მდინარის დონის ზრდა არ აღემატება ერთ მეტრს.

მდინარის მარაგი წლის განმავლობაში არათანაბრად ნაწილდება, რაც დამოკიდებულია ნალექიან ამინდსა და სხვა თანმდევ გარემოებებზე. მდინარე იკვებება ატმოსფერული და გრუნტის წყლებით. მდინარის საშუალო წლიური ხარჯია - 0,25 კუბ/მ/წმ, მაქსიმალური ხარჯი 2,9 კუბ/მ/წმ, მინიმალური ხარჯი 0,05 კუბ/მ/წმ. დონეთა ცვლილების მაქსიმალური მნიშვნელობებია +45/-25 სმ.

მდინარე ორაფოს ძირითადი და ჰიდროლოგიური მონაცემები

მახასიათებელი	გამოთვლილი		
	ანასეული	სოფ. ლაითური	სრული
-წყალშემკრები აუზი კვ/კმ	4,17	11,76	13,18
-აუზის საშუალო სიმაღლე მ.	94	84	75
წყლის საშუალო წლიური დანახარჯი კუბ/მ/წმ			
- უზრუნველყოფილი 10 %-ით	0.100	0.277	0.317
- უზრუნველყოფილი 50 %-ით	0.079	0.217	0.247
- უზრუნველყოფილი 75 %-ით	0.069	0.191	0.217
- უზრუნველყოფილი 90 %-ით	0.061	0.169	0.192
წყლის საშუალო წლიური დანახარჯი კუბ/მ/წმ			
- უზრუნველყოფილი 10 %-ით	1.159	3.187	3.622
- უზრუნველყოფილი 50 %-ით	0.910	2.504	2.846
- უზრუნველყოფილი 75 %-ით	0.801	2.201	2.501
- უზრუნველყოფილი 90 %-ით	0.708	1.948	2.213
წყლის საშუალო წლიური დანახარჯი კუბ/მ/წმ			
- უზრუნველყოფილი 10 %-ით	0.020	0.055	0.063
- უზრუნველყოფილი 50 %-ით	0.015	0.043	0.049
- უზრუნველყოფილი 75 %-ით	0.013	0.038	0.043
- უზრუნველყოფილი 90 %-ით	0.012	0.033	0.038

მდინარე ორაფოს წყლის სინჯის ანალიზის შედეგები

ცხრილი #10

#	ხარისხობრივი მაჩვენებლის ჩამონათვალი	საზომი ერთეული	ნორმატიული მაჩვენებელი	ფაქტიური მაჩვენებელი
1	PH		6,9	6,8
2	შეწონილი ნაწილაკები	ოგ/1	50,0	არ შეიმჩნევა
3	მშრალი მასა	ოგ/1	100-1000	110 105,0
4	ქლორიდები	ოგ/1	250,0	55,0
5	სულფატები	ოგ/1	250,0	25,0
6	მძიმე ლითონები	-	-	-
7	Cd - კალიუმი	ოგ/1	0,003	10,01
8	Cu - სპილენძი	ოგ/1	1-2	0,05
9	Pb - ტყვია	ოგ/1	0,05	-
10	? - თუთი	ოგ/1	3,0	0,01
11	Fe - რკინა	ოგ/1	0,3	0,1
12	Ni - ნიკელი	ოგ/1	0,1	0,015
13	Mi - მარგანეცი	ოგ/1	0,1	0,08
14	ჟანგბადის ბიოლოგიური მოთხოვნილება ჟ. ბ. მ.	ოგ/1	3,0	0,32
15	ჟ. ქ. მ.	ოგ/1	30,0	0,5
16	სიხისტე	ოგ/1	1,5-7,0	0,3
17	ნიტრატები	ოგ/1	45,0	40,0
18	TPH	ოგ/1	0,04	10,3
19	ელგამტარობა	Sim	0,01	0,005

7.3 ნიადაგის ლანდშაფტი

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სუბტროპიკული, ეწერი და ალვიური კარბონატული ნიადაგებია. საპროექტო არეალში გავრცელებულია ყვითელმიწები და წითელმიწები, ზოგან გაეწერებულაც. ნიადაგის ჰუმუსივანი ფენის სიმძლავრე დაახლოებით 15-25 სმ-ს შეადგენს. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამოხატულია ლანდშაფტის სიმაღლეობრივი ზონალობა. კერძოდ განვითარებულია შემდეგი ფორმები: ნოტიო სუბტროპიკული, დახრილი ვაკე-დაბლობები კოლხური წარმოშობის მცენარეულობებით, ნოტიო სუბტროპიკების ბორცვიან ბეჭობიანი მთისწინეთი.

7.4 ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ხარისხი

სამიზნე ტერიტორიის უახლოეს არეალში, ქ. ოზურგეთში 2017 და 2019 წლებში ჩატარდა ატმოსფერული ჰაერის ინდიკატორული გაზომვები:

2017 წელს ქ. ოზურგეთში ჩატარდა 12 ინდიკატორული გაზომვა ოთხ ეტაპად ქალაქის ერთ წერტილში. აქედან აზოტის დიოქსიდის - 4, გოგირდის დიოქსიდის - 4 და ოზონის - 4 გაზომვა. დაფიქსირდა აზოტისა და გოგირდის დიოქსიდების, ასევე ოზონის დაბალი ინდექსები. გაზომვების შედეგები მოცემულია ცხრილში #1.

2019 წელს ქ. ოზურგეთში ჩატარდა 12 ინდიკატორული გაზომვა ოთხ ეტაპად ქალაქის სამ წერტილში. აქედან აზოტის დიოქსიდი - 8 და ოზონის - 4 გაზომვა. აზოტის დიოქსიდის ინდექსი 7 შემთხვევაში იყო ძალიან კარგი, ხოლო ერთ შემთხვევაში - კარგი. ოზონის ინდექსი ოთხივე შემთხვევაში იყო ძალიან კარგი. გაზომვების შედეგები მოცემულია ცხრილში #1.

2017 წლის ინდიკატორული გაზომვების ოთხი ეტაპის შედეგები ქალაქ ოზურგეთში

ცხრილი #11

მისამართი ეტაპი	აზოტის დიოქსიდი, მკგ/მ ³				გოგირდის დიოქსიდი, მკგ/მ ³				ოზონი მკგ/მ			
	I	II	III	IV	I	II	III	IV	I	II	III	IV
პარკი	21.26	34.48	28.73	30.54	<2.46	2.36	<2.17	<2.83	55.75	37.26	30.68	18.55

2019 წლის ინდიკატორული გაზომვების ოთხი ეტაპის შედეგები ქალაქ ოზურგეთში



ცხრილი #12

მისამართი ეტაპი	აზოტის დიოქსიდი, მკგ/მ ³				ოზონი მკგ/მ			
	I	II	III	IV	I	II	III	IV
„სამკუთხა პარკი“	16.38	12.45	12.23	23.87				
9 აპრილის ქ.	25.96	20.47	16.84	32.05				
ცენტრალური პარკი					60.38	74.88	48.55	31.68

8 დასკვნები

1. წვეთოვანი მიწების გაყვანისთვის ტრანშეების გაყვანა დაგეგმილი არ ყოფილა, შესაბამისად ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის და განთავსების საჭიროება არ იყო, შესაბამისად ნიადაგის ხარისხზე და სტაბილურობაზე ზემოქმედება საჭირო არ დამდგარა და არც მომავალშია მოსალოდნელი;
2. პროექტის განხორციელება მიზნად არ ისახავდა მცენარეული საფარის გარემოდან ამოღებას, შესაბამისად ხმაურწარმომქმნელი ტექნიკის გამოყენება, რასაც შესაძლებელია ცხოველთა სამყაროზე უარყოფითი ზეგავლენა მოეხდინა გათვალისწინებული არ ყოფილა;
3. პროექტის განხორციელებას ვიზუალურ-ლანდშაფტური ცვლილებები არ გამოუწვევია. წყალაღების ადგილიდან რეზერვუარამდე მილსადენი განთავსებულია მიწის ქვეშ, რაც ფაქტობრივად გამორიცხავს ზემოთ აღნიშნული სახის ზემოქმედებას და ადამიანის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ რისკებს;
4. პროექტისთვის გათვალისწინებული მიწები არ კვეთს ტყის ფონდის მიწებს და დაცულ ტერიტორიებს;
5. საპროექტო ტერიტორიის არეალში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები არ ხვდება და არც ლიტერატურული წყაროებით არ არის აღწერილი;
6. უშუალოდ ბადის და წყალაღების წერტილამდე მიდის გზები (ანასეულისა და ნარუჯის დასახლებების), რომლებიც დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია. აღნიშნული გზები არ საჭიროებს სარეაბილიტაციო სამუშაოებს;
7. პროექტის განხორციელებით ზედაპირულ წყლებზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის, რადგან მდინარის კალაპოტში ისეთი სახის სამუშაოები, რამაც შესაძლებელია მდინარის დაბინძურება გამოიწვიოს არ იყო დაგეგმილი და არც მომავალშია არ არის გათვალისწინებული;
8. საპროექტო ტერიტორია საკმაო მანძილით (დაახლოებით 195 გრ/მ) არის დაშორებული დასახლებისაგან და პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელებას ადგილობრივ მოსახლეობაზე უარყოფითი ზეგავლენა არ მოუხდენია;
9. პროექტის განხორციელება დადებითად აისახება ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებაზე მოცვის ბადის სრულმოსავლიანი და სრულფასოვანი ექსპლუატაციის პირობებში დასაქმებული იქნება მხოლოდ ადგილობრივი მოსახლეობა (საშუალო წლიური რიცხოვნობა 80-100 მუშა ხელი). გაიზრდება შემოსულობები ადგილობრივ ბიუჯეტში. დემოგრაფიული ცვლილებები მოსალოდნელი არ არის.

სიტუაციური ნახაზი ქ.ოზურგეთი, ანანუჯი



მასშტაბი 1:2000

Активация Window
Чтобы активировать Win



ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882020506803 - 04/08/2020 18:57:13

მომზადების თარიღი
12/08/2020 19:40:42

საკუთრების განყოფილება

მონა ობურგეთი	სექტორი ქ. ობურგეთი	კვარტალი	ნაკვეთი	ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება ნაკვეთის დანიშნულება: სასოფლო-სამეურნეო (მრავალწლიანი ნარგავები) დამუსგებელი ფართობი: 99145.00 კვ.მ. ნაკვეთის წინა ნომერი: 26.26.50.228; 26.26.50.189;
26	26	50	240	

მისამართი: ქალაქი ობურგეთი, ანასეული

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882020506803 , თარიღი 04/08/2020 18:57:13
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 12/08/2020

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება, დამოწმების თარიღი: 03/06/2020, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
- უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება, დამოწმების თარიღი: 15/07/2020, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
- უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება, დამოწმების თარიღი: 15/07/2020, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

მესაკუთრეები:

შპს "აგრობარი", ID ნომერი: 445580167

მესაკუთრე:

შპს "აგრობარი"

აღწერა:

იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

ვალდებულება

ყაღაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეობა რეესტრი:

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge ან სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეაქსეთ განაცხადი ვებ-გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge



**ამონაწერი მენარმეთა და არასამენარმეთა
(არაკომერციული) იურიდიული პირების
რეესტრიდან**

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B20038229, 31/05/2020 18:25:27

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება: შპს აგრობარი
სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საიდენტიფიკაციო ნომერი: 445580167
რეგისტრაციის ნომერი, თარიღი: 31/05/2020
მარეგისტრირებული ორგანო: სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
იურიდიული მისამართი: საქართველო, ქალაქი ბათუმი, თამარ მეფის ჩიხი, N 4-6

დამატებითი ინფორმაცია:

ელ. ფოსტა: info@agrobari.ge
დამატებითი ინფორმაციის ნამდვილობაზე პასუხისმგებელია ინფორმაციის მომწოდებელი პირი.

ინფორმაცია ლიკვიდაციის/ რეორგანიზაციის/ გადახდისუნარიობის პროცესის მიმდინარეობის შესახებ

რეგისტრირებული არ არის

ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

- დირექტორი - გიორგი ნიშნიანიძე, 61001032204

პარტნიორები

მესაკუთრე**წილი****წილის მმართველი**ანდრო ხვედელიძე,
57001012370

33.3%

ამირან ნიშნიანიძე,
61003004614

33.4%

ვახტანგ სიხარულიძე,
01013010278

33.3%

ვალდებულება

რეგისტრირებული არ არის

ყადაღა/აკრძალვა

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი

რეგისტრირებული არ არის


- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge , ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ-გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი



25060674109322

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება
რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N220507592



რეგისტრაციის თარიღი

05.05.2022 წ

ნოტარიუსი: ხატია ბერიძე

მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, მ. კოსტავას ქ. N 75

ტელეფონი: +995 032 2 4348 20; + 995 5 91 91 21 91

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო
სანოტარო აქტი

ორი ათას ოცდაორი წლის ხუთი მაისი
საქართველოს ნოტარიუსი: ხატია ბერიძე
სანოტარო ბიუროს მისამართი: ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. N75 (0171)

საქართველოს ნოტარიუს ხატია ბერიძის მიერ შემოწმებულია „მარწმუნებლის“ პირადობა წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით, აგრეთვე მისი ქმედუნარიანობა, უფლებამოსილება და ნების გამოვლენის ნამდვილობა. მის ქმედუნარიანობაში და უფლებამოსილებაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს.

მარწმუნებელი:

გიორგი ნიშნიანიძე (დაბადების თარიღი: 24.11.1984 წელი; პირადი ნომერი: 61001032204; საქართველოს მოქალაქის პასპორტის სერია და ნომერი: 16AB71741; მისამართი: საქართველო, ქალაქი ბათუმი, ალექსანდრე ახმეტელის ქუჩა, N 1, ბინა 24), როგორც შპს „აგრობარი“-ს (საიდენტიფიკაციო ნომერი: 445580167; იურიდიული მისამართი: საქართველო, ქალაქი ბათუმი, თამარ მეფის ჩიხი, N 4-6) დირექტორი, თანახმად შპს „აგრობარი“-ს (საიდენტიფიკაციო ნომერი: 445580167) ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B22021492, 07/03/2022 10:42:02)

რწმუნებული:

ლავრენტი ბიგვავა (დაბადების თარიღი: 16.01.1949 წელი; პირადი ნომერი: 33001004288; რეგ. მისამართი: საქართველო, ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, ქალაქი ოზურგეთი, უნივერსიტეტის ქუჩა, N 12, ბინა 43)

რ წ მ უ ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

გიორგი ნიშნიანიძე, როგორც შპს „აგრობარი“-ს (საიდენტიფიკაციო ნომერი: 445580167) დირექტორი, რომელიც წინამდებარე რწმუნებულებაში შემდეგში მოხსენიებულია, როგორც „მარწმუნებელი“ ლავრენტი ბიგვავას - შემდგომში „რწმუნებულს“ ანიჭებს შემდეგ უფლებამოსილებას:

1. რწმუნებულების უფლებამოსილების ფარგლები:

1.1. „რწმუნებული“ იცავს „მარწმუნებლის“ პირად ქონებრივ და არაქონებრივ ინტერესებს და ამ მიზნით უფლებამოსილია წარმოადგინოს იგი საქართველოს ყველა ინსტანციის სასამართლოში, ნებისმიერ ორგანიზაცია-დაწესებულებაში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ურთიერთობისას, მათ შორის საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში, სსიპ იუსტიციის სახლში, სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში, ნებისმიერ სამინისტროსა და მის დაქვემდებარებულ დაწესებულებებში, აგრეთვე საქართველოს იუსტიციის სამინისტროში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში, სსიპ შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში, სსიპ შემოსავლების სამსახურში, სანოტარო ბიუროში, მერიაში და მის დაქვემდებარებულ დაწესებულებებში, თვითმმართველ ერთეულებში, გამგეობაში, საკრებულოში, მუნიციპალიტეტებში, სსიპ

აღსრულების ეროვნულ ბიუროში, კერძო აღმასრულებლებთან, ადმინისტრაციულ ორგანოებში, ფინანსთა სამინისტროს დავების განმხილველ საბჭოში, არქივებში და სხვა დაწესებულებებთან ურთიერთობისას და წარმოებს შესაბამის სისხლის, სამოქალაქო, ადმინისტრაციულ, სააღსრულებო ან/და სხვა სამართლებრივ საქმეებს.

1.2 „რწმუნებული“ უფლებამოსილია „მარწმუნებლის“ სახელით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მიიღოს, გამოითხოვოს, განმეორებით აიღოს, წარადგინოს ნებისმიერი სახისა და შინაარსის დოკუმენტი, მათ შორის ცნობები, განცხადებები, მოწმობები, მათი დანართები, ხელშეკრულებები, მიიღოს ინფორმაცია კომპანიის სახელით, აწარმოოს მოლაპარაკებები, გადაიხადოს შესაბამისი გადასახადები და ხელი მოაწეროს საჭირო დოკუმენტებს.

1.3 წინამდებარე რწმუნებულებით მინიჭებული უფლებამოსილების ჯეროვნად განსახორციელებლად, „რწმუნებული“ უფლებამოსილია „მარწმუნებლის“ სახელით შეასრულოს ყველა საჭირო მოქმედება და პროცედურა, რაც დადგენილია საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის „მარწმუნებლის“ სახელით შეიტანოს განცხადება და/ან სარჩელი სასამართლოში, გადაიხადოს ან/და დაიბრუნოს სახელმწიფო ბაჟი, გაეცნოს საქმის მასალებს, გააკეთოს ამონაწერები ამ მასალებიდან, მიიღოს მონაწილეობა მტკიცებულებათა გამოკვლევაში, შეკითხვები დაუსვას მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებს, განაცხადოს სასამართლოს წინაშე შუამდგომლობები, მისცეს სასამართლოს ზეპირი და წერილობითი ახსნა-განმარტებანი, წარადგინოს თავისი დასკვნები და გამოთქვას მოსაზრებები საქმის განხილვის დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე, უარყოს მეორე მხარის შუამდგომლობები, დასკვნები და მოსაზრებები, ცნოს სარჩელი, ნაწილობრივ ან მთლიანად უარი თქვას სარჩელზე, შეცვალოს სარჩელის საგანი და/ან საფუძველი, გაადიდოს ან შეამციროს სარჩელის მოთხოვნის მოცულობა, მონაწილეობა მიიღოს მედიაციის პროცესში, დაამთავროს საქმე მორიგებით, ხელი მოაწეროს მორიგების აქტს, გამოიხმოს სარჩელი, ჩაიბაროს განჩინება, მონაწილეობა მიიღოს დავების განხილვაში, გაასაჩივროს სასამართლოს გადაწყვეტილება ან/და სხვა ნებისმიერი აქტი, წარადგინოს სააღსრულებო ფურცელი გადასახდევინებლად ცნობისა და აღსრულებისთვის. „რწმუნებული“ უფლებამოსილია „მარწმუნებლის“ სახელით აწარმოოს სააღსრულებო საქმესთან დაკავშირებით ნებისმიერი პროცედურა და მოქმედება და მონაწილეობა მიიღოს სააღსრულებო წარმოებაში შეუზღუდავად.

2. რწმუნებულების კანონიერება:

2.1 არავინ შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს რწმუნებულის უფლებამოსილებანი იმის გამო, რომ წინამდებარე რწმუნებულებაში რწმუნებულის უფლებები ამომწურავად არ არის ჩამოთვლილი.

2.2 რწმუნებული უფლებამოსილია შეასრულოს სხვა ნებისმიერი მოქმედება, რაც პირდაპირ არ არის მითითებული ამ რწმუნებულებაში, მაგრამ აუცილებელია მარწმუნებლის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად.

3. რწმუნებულის ვალდებულებები:

3.1 რწმუნებული ვალდებულია რწმუნებულებით მინიჭებული უფლებამოსილება განახორციელოს კეთილსინდისიერად და გულსხმიერებით, მარწმუნებელს მიაწოდოს ცნობები დავალების შესრულების მიმდინარეობის შესახებ, შესრულების შემდეგ კი ჩააბაროს ანგარიში.

4. მარწმუნებლის ვალდებულებები:

4.1. მარწმუნებელი ვალდებულია გადაიხადოს დავალების შესასრულებლად ყველა საჭირო ხარჯი.

4.2 დავალების შესასრულებლად მარწმუნებელი ვალდებულია რწმუნებულს გადაუხადოს გასამრჯელო,

